№ 263
ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 263
ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 1898 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 10 დეკემბერს,
ბენეფისი ქ-ნ ჩერქეზიშვილისა
ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქმნება
I
რას ვეძებდი და რა ვპოვე
კომედ. 3 მოქ. თხზ. ქნ. ბ. ჯორჯაძისა
II
გლახა ჭრიაშვილი
სცენები 1 მოქმედ. თხზ. თავ. ი. ჭავჭავაძისა
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
რეჟისორნი ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.
მოკლე ხანში დანიშნულია ბენეფისი ვ. აბაშიძისა.

დიდი იაფობა
იაპონიის, ჩინეთის და კავკასიის საუცხოვო და ორიგინალ საქონლისა.
იყიდება: უძვირფასესი საჩუქრები დღესასწაულებში მისართმევად, ოთახების მოსართავად, საწერლო მაგიდებისა, კუთხეებ ს და კედლების შესამკობად და სხვანი.
აქვე იყიდება მრავალგვარი აბრეშუმეულობა და ფანზა ჩინეთისა (თეთრეულებისათვის).
იყიდება აგრეთვე შეკერილი ხალათები. ჩუსები და სხვა.
დორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ,
იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში.
(—6.—4)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პრიტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ზ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

ცენტრალურ წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად
კაპიტალი
კარლ მარქსისა
სტრუვეს მიერ ნათარგმნი.
(5—136—3)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ პოლკოვნიკობა—კუბის ქვეითა მე-155 რაზმის პოლკოვნიკს თავად მიქელაძეს; პოდპორუჩიკობა—ტენგინის მე-77 ქვეით რაზმის პოდპრაპორშჩიკებს ყანჩაველს, ნადირაშვილს და ჩოფიკაშვილს.

სია კავკასიის სამხედრო ოლქის გიორგის კავალერებისა, რომელთაც ებოძათ: პოლკოვნიკობა—კავკასიის გრენადერთა პირველ ბატარეის უფროსს მაქარაშვილს; ოფიცრად არის 1874 წლ., ხარისხში 1895 წლიდგან, დაჯილდოვებულ არის წმ. გიორგის მე 4 ხარისხის ორდენით. ოსმალებთან ომის დროს დევე—ბოინოსთან, 23 ოქტომბერს 1877 წლის, თავის ბატარეით ჩააჩუმა მტრის 40 ზარბაზანი; კუბის მე-155 ქვეითა რაზმის პოდპოლკოვნიკს თავად მიქელაძეს; ოფიცრად არის 1863 წლიდგან, ხარისხში—1887 წლიდგან, დაჯილდოვებულ იქმნა წმ. გიორგის მე 4 ხარისხის ორდენით თავის გამოჩენისათვის დევებოინისთან ბრძოლის დროს 23 ოქტ. 1877 წლის, სადაც თავის როტით შევარდა მტრის რაზმში, წაართვა მას ერთი ზარბაზანი და წამოიყვანა 11 ტყვე.

დათხოვნილ იქმნა: თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით, ღამინის განყოფილების მე-3 ნაწილის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ვაჩნაძე.

ახალი ამბავი

⁂ გაზ. „კავკას"-ს დეპეშით ატყობინებენ: მისი უდიდებულესობა დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ამალითურთ აბასთუმნიდგან ბორჯომში დღეს, 7 დეკემბერს, ნაშუადღევის 12 საათსა და 30 წუთზედ წაბრძანდა. მის უდიდებულესობას ამალის გარდა ახლავან: თავ. გ. დ. შერვაშიძე, ტფილისის გუბერნატორი, საფოსტო-სატელეგრაფო ოლქის უფროსი ლინდენი, გზათა უწყების ოლქის უფროსი. ბორჯომში მისი უდიდებულესობა მიბრძანდა საღამოს $6^1/_2$ საათზედ. ლიკანში მის უდიდებულესობას მიეგება დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე. ბორჯომი გაჩირაღდნებული იყო. 7 საათზედ საიმპერატორო მატარებელი ხაშურში წავიდა. მის უდიდებულესობას ბათუმში მისდევენ დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე და უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე. ხაშურის სადგურზედ მის უდიდებულესობის წინაშე წარსდგა კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი. გზა კოცონებით არის განათებული.

⁂ ორშაბათს, 7 დეკემბერს, კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ამიერ-კავკასიის რკინის გზის დილის მატარებლით „რიონის" სადგურზედ წაბრძანდა.

⁂ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ „კავკას"-ს: ებოძათ წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ორდენი—მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელეს თავ. დავ. მელიქიშვილს; წმ. ანნას მე-2 ხარისხის ორდენი: ყაზახის მაზრის უფროს კანჩელს, ტფილისის საგუბერნიო ექიმს ქიქოძეს და სენაკის პოლიციის ბოქაულს თავ. აბაშიძეს; წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი—ზუგდიდის პოლიციის ბოქაულს დგებუაძეს; წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხისა: სენაკის მომრიგებელ მოსამართლეს თავ. ერისთავს და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეს ქარუმიძეს.

⁂ გუშინ, 8 დეკემბერს, ტფილისში ჩამოვიდა სომეხ-გრიგორიანთა კათალიკოსი მკრტიჩ I.

⁂ გუშინ, 8 დეკემბერს, კრება ჰქონდა ქალაქის გამგეობას, რომელმაც დაადგინა—განხილულ იქმნას ყველა საჩივრები შესახებ სახლების ხელ-მეორედ დაფასებისა და შემდეგ ეცადნენ, რომ ხელ-მეორედ დაფასების საქმეები რაც შეიძლება მალე დასრულდეს, დეკემბრის შუა რიცხვებში წარედგინოს ქალაქის საბჭოს განსახილველად, რათა ახალწლიდგან შეიძლებოდეს ამ დაფასებათა მიხედვით გარდასახადის მოკრება.

⁂ ქალაქის გამგეობის გარდაწყვეტილების ძალით ქალაქის გამგეობის კანცელარიაში გარეშე კაცთ შესვლა აეკრძალათ. ხოლო ვისაც საჭირო ცნობების გაგება სურს, პირდაპირ ქალაქის გამგეობის მდივანს ბ-ნს ს. თ. ჰრელაშვილს უნდა მიჰმართოს.

⁂ 10 დეკემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია კრება სამოქალაქო სამოსწავლო კომისიისა. კრებამ უნდა განიხილოს მორიგი საქმეები.

⁂ რადგანაც ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი ტფილისიდგან სხვაგან წავიდა, იმის თანამდებობას 4 დეკემბრიდგან ასრულებს ტფილისის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი გენერალ-მაიორი ი. ვ. სავინაშვილი.

⁂ 9 დეკემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია კრება, რომელსაც დაესწრებიან ხმოსანნი—მკურნალნი და პოლიცმეისტერი ლ. მასტიცკი, მიხეილის სამკურნალოს დირექტორი პავლოვსკი, მკურნალი ქიქოძე და მკურნალი დ. ორბელი. კრებამ უნდა შეიმუშავოს სულით ავადმყოფთა სამკურნალოში მიღების წესდებანი.

⁂ კვირას, 6 დეკემბერს, ნაფიცი ვექილნი შეიკრიბნენ სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის სხდომის დროს ნაფიც ვექილის კოროლკოვის მიერ ჩადენილ საქციელის განსახილველად, კრებას ბ-ნმა კოროლკოვმა გაუგზავნა განმარტება, რომელშიაც აცხადებს, პალატის სხდომის დროს ავად ვიყავი და არა მთვრალი, როგორც დაადგინეს პალატის წევრთ კერძო მოლაპარაკების დროსაო. ნაფიცმა ვექილებმა თავიანთ შორის ბ-ნი ჩემესოვი, ელიაზაროვი და ტურკევიჩი აარჩიეს ამ საქმის გამოსაკვლევად.

⁂ 5 დეკემბერს, სხდომაზედ, კავკასიის ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტმა გარდასწყვიტა ტფილისში განზრახულის ნოქართა საზოგადოების წესდების პროექტი გარდასცეს განსახილველად ადგილობრივ ვაჭართაგან შემდგარ კომისიას.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ პოლკოვნიკი თავ. გ. ი. ორბელიანი ამას წინად მის უმაღლესობას ოლდენბურგის პრინცთან ერთად სამარყანდში წავიდა შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად. სამარყანდიდგან, როგორც „ტფ. ფურ."-ი იუწყება, თავ. ორბელიანი გაგზავნილ იქმნა შიდა რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში, რათა ადგილობრივ მოხელეებს გააცნოს ის ღონისძიებანი, რომელნიც მიღებულ უნდა იქმნას შავის ჭირის წინააღმდეგ. პირველ დეკემბერს თავ. ორბელიანი ოდესაში მისულა.

⁂ გორიდგან სწერენ „ახ. მიმ."-ს: როგორც ვუწყით, გორის ხიდის კეთებას შეუდგენ. როდის გაათავებენ ამ საქმეს, ღმერთმა უწყის, ეს-კია, რომ ხალხი ძალიან გაჭირვებულია უხიდობით. მართალია, ბორანი გამართეს, მაგრამ იგი უფრო ბავშვების სათამაშოსა ჰგავს. ეს ბორანი იმდენად პატარაა, რომ ერთი ურემი ძლივს ეტევა, ისიც უხარებოდ. ისე დღე არ გავა, რომ წყალში ან ურემი, ან ხარი და ან კაცი არ გადავარდეს. ნუ თუ ძნელია ამ ადგილას დროებით ხიდის გამართვა. გორის ხიდი თვეში 1000 მანეთს შემოსავალს იძლევა და ერთის თვის შემოსავალი სულ ეყოფა დროებითის ხიდის გამართვას.

⁂ 6 დეკემბერს პოლიციელმა გაბელოვმა შეიპყრო ტფილისის მცხოვრები სილო ელიაშვილი, რომელსაც რამდენიმე დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებოდა, სხვათა შორის, ქრისტეფორე სარქისოვის გაქურდვა და მოკვლის განზრახვა და რომელსაც პოლიცია კარგა ხანია დაეძებს. ელიაშვილი დაპატიმრებულ იქმნა.

⁂ 6 დეკემბერს სადგურის მახლობლად პოლიციელმა ჰნახა მიწაზედ მწოლარე ვილაც კაცი. უცნობი ეტლით პოლიციის გამგეობაში გაჰგზავნეს, მაგრამ გზაზედ გარდაიცვალა.

⁂ იმავე დღეს, ქალაქის მე-3 ნაწილში პოლიციელმა დინახა ვილაც კაცი, რომელიც გულშემოყრილი მიწაზედ ეგდო. მაშინვე სავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ გზაზედ გარდაიცვალა.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ამას წინად სად. ძერულაზედ ვილაც ქალმა გაჰქურდა ფრანგის ქალი ფონ-ჩულინი. პოლიციამ ეჭვი მიიტანა ლ. გ., რომელიც დროებით ტფილისის ერთს სასტუმროში სცხოვრობდა. ლ. გ. ბათუმელია, გაჩხრეკის დროს უპოვნეს აბგა, რომელშიაც 300 მანეთი იდო.

⁂ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჯეჯილის" მე-XI №-რი. შინაარსი ამ ნომრისა: 1, კატა. ლექსი—კახ-იმერისა; 2, ნალიტა და ფეთება (სურათი შეგირდ. ცხოვრებიდგან).—ვ. ბარნოვისა; 3, პეტრე. ამბავი—გიორგი ბოკერიასი; 4, ია და ეკალა. ლექსი—იონასი; 5, პატარა ურია ტყვეობაში—გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალტუბელისა, 6, კატის ჭკუა-გონება—ი—სა; 7, ფიზიოლოგიური წერილები (წერილი VIII)—ივ. გომართელისა; 8, კოლო.—თან—ენ კან—ინ—ისა; 9, საკვირველებანი ბუნებისა № 20 ენკერი—ლადო აღნიაშვილისა; 10, სამეცნიერო გასართობი № 10 უცნაური აბაზიანი—ბორასი; 11, სიტყვის ძალა (რუსულიდან)—ნან—ენ კან—ინ—ისა; 12, პირველი სასჯელი—ეკ.მ—სა;13, წვრილმანი: ხალხური, ანდაზა, გამოცანები, ანაგრამა, შარადები, რებუსები და სხვა.

⁂ 18 თებერვალს დანიშნულია განსახილველად ტფილისის ოლქის სასამართლოში საქმე ვ. მამიკონოვისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდება.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას გარდაეცა საქმე გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს რედაქტორის თავ. გ. მ. თუმანოვისა, რომელსაც იმის ბრალსა სდებენ, რომ ბეჭდვითი სიტყვით ცილი დასწამა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობასაო.

⁂ გიორგი ოსიტაშვილი, რომელსაც დავით გაბაშვილის მკვლელობაში ბრალი ედება, ექიმის შემოწმებით, სამ-ოთხს თვეზე ადრე ვერ განიკურნება.

◆

ქალაქის საბჭო

7 დეკემბერი

ქალაქის მდივანმა წაიკითხა 30 ნოემბრის კრების ოქმი და ამის შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით, მოახსენა საბჭოს,—რომელი და რომელი ხმოსანი არ დაესწრო საბჭოს კრებას 23 და 30 ნოემბერს და რა მიზეზით.

თავმჯდომარე ბ-ნი ევანგულოვი. ეხლა უნდა შევუდგეთ ქალაქის გამგეობის ორის წევრის არჩევანს ბ-ნთ ივანენკოსა და ვერმიშევის ნაცვლად, რომელნიც სამსახურიდგან გადაყენებულ იქმნენ. 23 ნოემბერს საბჭომ აირჩია „სარეკამენდაციო“ კომისია, რომელსაც კანდიდატების სია უნდა შეედგინა. ხსენებულმა კომისიამ წარმოადგინა სამი კანდიდატი: მ. ს. შესტაკოვი, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და თავ. არ. ი. ბებუთოვი. გარდა ამისა, თქვენ უკვე იცით, რომ ბ-ნმა თ. პორფიროვმაც ითხოვა ყუთი დავუდგათ. ოთხივე კანდიდატს ცენზი აქვს და ყუთის დადგმა შეუძლიანთ. ამასთანავე საჭიროდ ვთვლი მოგახსენოთ, რომ ბ-ნთ ივანენკოს და ვერმიშევს თითო წლის სამსახურის ვადა ჰქონდათ მაშინ, როცა სამსახურიდგან გადაყენებულ იქმნენ. მაგრამ რადგან მათის გადაყენების შემდეგ ერთმა თვემ განვლო, ამიტომ გამგეობის ახალი წევრები 11 თვის ვადით იქნებიან არჩეულნი.

ხმ. ტიგრანოვი. რადგან ერთს წელიწადზედაც ნაკლებ ვადით უნდა იქმნენ არჩეულნი ახალნი წევრნი გამგეობისა, განა არ შეიძლება სულ რომ არ ავირჩიოთ და სამ წევრიანი გამგეობა დარჩეს? ერთი წევრი გამგეობის აქამდეც ხომ ცხენის რკინის გზის საქმეებს უნდებოდა, რომლის წარმოებაც ეხლა ჩვენ ხელთ აღარ არის და, მაშასადამე, ამ მხრივ თავისუფალია გამგეობა. გარდა ამისა, ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ვჩივით, რომ ქალაქს ინჟინერი არა ჰყავსო. ვიშოვოთ ინჟინერი და იმას მივანდოთ აღმაშენებელი განყოფილება, რასაც აქამდე გამგეობის ერთი წევრი უნდებოდა... ამასთანავე გამგეობის სამმა წევრმა თანაბრად გაინაწილონ საქმე და საბჭომაც იცოდეს, რომელ გამგეს რა საქმე აბარია გასაკეთებლად. ასე თუ არ მოვიქეცით, მეტი გზა არ დაგვრჩენია: 11 თვე ერთობ მცირე ვადაა; ვინ მიანებებს ეხლა თავისს საქმეს თავს და ასე მოკლე ვადიანს საქმეს ირჩევს.

თავმჯდომარე. ჩვენი საქმე არ არის, ვისმეს ხელს მისცემს, თუ არა ასეთი მოკლე ვადიანი სამსახური, როდესაც თითონვე აცხადებენ სურვილს. გარდა ამისა, გუბერნატორმა მოგვწერა—აირჩიეთ წევრებიო და ჩვენც უთუოდ უნდა ავირჩიოთ. დასასრულ, სამ წევრიანი გამგეობა ვერ გასწვდება საქმეებს, მით უფრო, რომ გამგეობის წევრებს კანდიდატები არა ჰყავთ და რომელიმე წევრი ავად რომ გახდეს, ვინ გააკეთებს იმის გასაკეთებელს საქმეს.

ხმ. ალიბეგოვი. საბჭომ არ იცის, რა მიზეზით იყვნენ სამსახურიდგან დათხოვნილნი ბ-ნნი ივანენკო და ვერმიშევი. თქვენ (თავმჯდომარეს) თუმცა რამდენჯერმე შეგეკითხათ ხმოსანი ა. ბ. ევანგულოვი—დაგვისახელეთ, რა იყო მიზეზი მათის დათხოვნისაო, მაგრამ პასუხი არ მიეცით. ამისათვის, ჩემის აზრით, საბჭო უნდა შეუდგეს არჩევანებს. მაგრამ პირველად ასეთი ფორმულა უნდა დაადგინოს: „ვირჩევთ გამგეობის ახალ წევრებს დათხოვნილ ივანენკოსა და ვერმიშევის ნაცვლად, რომელთა დათხოვნის მიზეზი არ იცის საბჭომო.“

თავმჯდომარე. ამ საგნის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. თუ არ დაიშლით და კიდევ ამავე კილოთი ილაპარაკებთ, სიტყვის ნებას არ მოგცემთ. ხმოსანს ევანგულოვს მაშინაც ვუთხარი მე და ეხლაც იმასვე ვიმეორებ, რომ ბ-ნთ ივანენკოსა და ვერმიშევის დათხოვნის მიზეზი ჩემთვის არავის უცნობებია და როცა მაცნობებენ, საბჭოს მაშინვე მოვახსენებ.

ხმ. ბალდასაროვი. ხმოსანს ნება აქვს ლაპარაკისა და თქვენ რატომ უკრძალავთ?

თავმჯდომარე. ხმოსანმა იმის შესახებ უნდა ილაპარაკოს, რის შესახებაც კანონი ლაპარაკის ნებას აძლევს. თუ ვინიცობა ასცილდა ამ წესსა და რიგს, თავმჯდომარემ ლაპარაკის ნება არ უნდა მისცეს. თავმჯდომარეა კანონის დამცველი კრებებზედ.

ხმ. თ. ა. ი. ბებუთოვი. სარეკომენდაციო კამისიას დავუსახელებივარ მე კანდიდატად, მაგრამ უარს ვაცხადებ; არა მსურს ყუთი დავიდგა.

თავმჯდომარე. ყუთი დაედგმით მ. ს. შესტაკოვს, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს და თ. პორფიროვს. თქვენ ბ-ბო ქაღალდებზედ დასწერეთ თქვენ-თქვენი კანდიდატები, მაგრამ ამ სამი კაცის დასახელება თქვენის მხრივ საჭირო არ არის, რადგან ორი იმათგანი სარეკომენდაციო კამისიამ წარმოადგინა, ხოლო უკანასკნელმა (პორფიროვმა) ბ-ნ გუბერნატორს სთხოვა, კენჭი მიყარონო.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. სარეკომენდაციო კომისია, მართალია, ავირჩიეთ, მაგრამ იმათი კანდიდატები სავალდებულო არ არის ჩვენთვის.

თავმჯდომარე. მე კი ჩემი მითქვამს და ასევე იქმნება, თქვენ-კი რაც გენებოთ, ისა ჰბრძანეთ.

კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ, შესტაკოვისა, ჩერქეზიშვილისა და პორფიროვის გარდა, კიდევ 14 კაცი და მათ შორის ბ-ნნი ივანენკო და ვერმიშევი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვერმიშევსა და ივანენკოს კანდიდატებად ვერ ჩავსთვლიო. ხმოსნებმა ა. ს. ბაბოვმა, ა. ბ. ევანგულოვმა, ნ. ა. ხუდადოვმა და ი. ს. ბულდანოვმა ასეთის განცხადების წინააღმდეგ დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ თავმჯდომარემ იმათ ყურადღება არ მიაქცია და ივანენკო და ვერმიშევი არ ჩარიცხა კანდიდატთა რიცხვში. ყუთი დაიდგეს მ. ს. შესტაკოვმა, პ. მ. იაკიმოვმა და თ. პორფიროვმა; დანარჩენებმა უარი განაცხადეს. ბ-ნს მ. ს. შესტაკოვს ამოუვიდა 27 თეთრი კენჭი და 23 შავი, პ. მ. იაკიმოვს—17 თეთრი და 34 შავი და თ. პორფიროვს 51 შავი და არც ერთი თეთრი.

ბ-ნმა თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ მ. ს. შესტაკოვია ქალაქის გამგეობის წევრად არჩეულიო.

ხმ. ლისიციანი. გამგეობის ორი წევრი უნდა აგვერჩია, რომელთაგან მარტო ერთი იქმნა არჩეული და ერთი ისევ ასარჩევია. კანონი თუ ნებას გვაძლევს, ჩემის აზრით, კარგი იქნება დღესვე რომ დავამთავრებდეთ არჩევანს, ე. ი. ხელ-ახლად დავასახელებდეთ კანდიდატებს და მეორე წევრსაც ავირჩევდეთ.

თავმჯდომარე. უკანონობას მე აქ არასა ვხედავ, მაგრამ საბჭოს საქმეა—ხელ-მეორედ მოახდინოს კენჭის ყრა და დღესვე აირჩიოს მეორე წევრიც, თუ შემდეგისათვის გადასდოს ეს საქმე.

საბჭო დაეთანხმა ბ-ნ ლისიციანს და ქაღალდზედ კანდიდატების წერას შეუდგა.

დასახელებულ იქმნა 10 კანდიდატი. თავმჯდომარე შეეკითხა ყველა იქ მყოფ კანდიდატს,—გსურთ თუ არა ყუთი დაიდგათო.

ბ-ნი გრაბოვსკი. მე ჩემის მხრივ უარს ვაცხადებ, მაგრამ პ. მ. იაკიმოვმა დამაბარა გადმომეცა თქვენთვის, რომ მე მზადა ვარ ხელ-მეორედ ვიყარო კენჭიო.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი თანახმაა ეხლა დაიდგას ყუთი.

ყუთი დაუდგეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, ს. ზ. მირზოევს და პ. მ. იაკიმოვს; დანარჩენმა კანდიდატებმა უარი განაცხადეს. თავ. ჩერქეზიშვილს ამოუვიდა 35 თეთრი კენჭი და 12 შავი, ბ-ნ მირზოევს—12 თეთრი და 32 შავი და ბ-ნს იაკიმოვს—11 თეთრი და 36 შავი.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თავ. ვ. ნ. ჩექეზიშვილი იქმნა გამგეობის წევრად არჩეულიო. ჩერქეზიშვილის არჩევას ტაშის ცემით მიეგებნენ ზოგიერთი ხმოსნები და გარეშე დამსწრენი.

ამის შემდეგ გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკიმ წაიკითხა ხმ. ხუდადოვის მიერ წარდგენილი მოხსენება. ბ-ნი ხუდადოვი სახალხო კითხვების კომისიისა და ლოთობის წინააღმდეგის საზოგადოების სახელით სთხოვს საბჭოს, რომ სახალხო თეატრისათვის 1000 ოთხ კუთხი საჟ. ადგილი დაგვითმეთო და ამასთანავე თეატრის შენობისათვის საჭირო ფულების მოსაგროვებლად ხელის-მოწერა გამართონ ზოგიერთ ხმოსნებმა, ხოლო თუ ამ გზით საკმაო თანხა არ შესდგება, ქალაქმა მაშინ სხვა წყარო აღმოუჩინოსო.

გამგეობას დაუდგენია, დაეთმოს დასახელებულ კომისიას და საზოგადოებას 500 ოთხ-კუთხი საჟ. ქალაქის მიწა დამოჟნის მახლობლად, საცა შეშებია დაწყობილი, სახალხო

ფელეტონი

კუკუნიანელი ექიმი

ჟ. რუმანილისა.

თარგმანი.

სრულმა ორმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც სოფელ კუკუნიანში ახალი ექიმი დასახლდა. ექიმმა ბევრი რამ იცოდა, რადგანაც ბევრს სწავლობდა და კითხულობდა; მაგრამ, ამის მიუხედავად, არც ერთი კუკუნიანელი ამ ექიმს არ ენდობოდა. ხშირად ეუბნებოდნენ ხოლმე კუკუნიანელები ერთმანეთს, როდესაც წიგნის კითხვაში გართულს ექიმს დაინახავდნენ: „არაფრისგან არაფერი არ იცის ამ ჩვენმა ექიმმა! არც ეცოდინება, რადგანაც მხოლოდ ეხლა სწავლობს და ეხლა კითხულობს. არა, აბა შენ თითონ იფიქრე, მაგ კაცს მუდამ წიგნი უჭირავს და კითხულობს, მაშასადამე სწავლას მხოლოდ ეხლა შესდგომია; თუ სწავლას კიდევ ეხლა შესდგომია, აშკარაა არაფერი სცოდნია: ხოლო თუ არაფერი სცოდნია, რაღა ლაპარაკი უნდა, რომ უტვინო გოგრა ჰქონია! მორჩა და გათავდა!“

ასე ბაასობდნენ ხოლმე კუკუნიანელები და, როგორც უკვე ვთქვით, ექიმს არაფერში არ ენდობოდნენ.

—

საჭირო იყო ბოლო მოჰღებოდა ასეთს უთავბოლო და დაუსრულებელს მითქმა-მოთქმას.

ერთს დღეს ექიმმა მთელს კუკუნიანს გამოუცხადა: ისეთის ცოდნისა და ძალის პატრონი ვარ, რომ არამც თუ ავადმყოფის განკურნება—ეს ხომ სულ უბრალო საქმეა—არამედ მკვდრის აღდგენა და გაცოცხლებაც-კი ადვილად შემიძლიანო. „დიაღ, მკვდრისა!—ამბობდა პატივცემული ექიმი თავისს განცხადებაში,—და უბრალო მკვდრისაც არა, უკვე დასაფლავებულის, მიწას ქვეშ ამოდებულის მკვდრისა. თუ გნებავთ, ბატონებო, თქვენ თვალ წინ გავაცოცხლებ მკვდარს, შუადღისას, სასაფლაოზედ“.

კუკუნიანელებმა სიცილით შეხვდეს ამ განცხადებას; ორმა-სამმა დაიჯერა ექიმის სიტყვები, უმეტესობა-კი, აი რას ამბობდა:

— ძალიან კარგი! გამოვცადოთ ექიმი; ჩვენ ხომ არაფერს არა ვკარგავთ! მართლაც საჭიროა მაგის საქმე დავინახოთ. კაცი საქმით იცნობებაო, უთქვამს ვიღაც ჭკვიანს კაცს. ვინ იცის, იქნებ ბედმა გაუღიმოს, ამდენი უკითხნია და შეიძლება ეს კითხვა ეხლა გამოადგეს. თუ სასწაული მოახდინა, ავდგეთ ჩვენც და ვაქოთ და ტაში დაუკრათ, ხოლო თუ ვერ მოახდინა, სასაცილოდ ავიგდოთ და კარგა ლაზათიანად უსტვინოთ. დეე, გააცოცხლოს მკვდრები! აი, მაშინ გავიგებთ თავში რა უყრია: ბზე თუ ტვინი.

და მთელმა სოფელმა დაადგინა: მომავალ კვირას, ნაშუადღევის 2 საათზედ, შევიკრიბნეთ სასაფლაოზედ, იქვე მოვა ექიმი და გააცოცხლებს მკვდარს, შეიძლება ერთის მაგივრად ორიც გააცოცხლოსო. ისეთი დედაკაცებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც ათობით ჩამოსთვალეს გასაცოცხლებელი მკვდრები.

კვირას, სასაფლაოზედ, ეკკლესიასთან იმოდენა ხალხი შეიკრიბა, რომ აღდგომა დღესაც ვერა ნახავდით იმდენს. ჯერ ორი საათი არც-კი შესრულებულიყო, რომ შავებში შემოსილი ექიმიც გამოჩნდა.

ექიმმა ამაყად გაუარა ხალხს, ერთს საფლავის ქვაზედ ავიდა, იქიდგან თავი დაუკრა ყველას, შემდეგ ჩაახველა, ცხვირი მოიწმინდა და მიჰმართა მსმენელთ:

— მეგობრებო, ამას წინად დაგპირდით მკვდარს გავაცოცხლებ-მეთქი და აი, ეხლა მოვედი ჩემის დანაპირევის სისრულეში მოსაყვანად. ხალხნო, სმენა იყოს და გაგონება! გარწმუნებთ, ჩემთვის სულ უბრალო საქმეა ჟაკის ან ჟანის, ნანონას ან ბაბეტას, კლავდიას ან სიმონას გაცოცხლება! გნებავთ გავაცოცხლო, აი თუნდა სიმონა? რას ეძახდით?.. ჰო, სიმონ კაბანი... ამ ერთის წლის წინად გარდაიცვალა მგონი ფილტვების ანთებისაგან.

— მაპატიეთ, ბატონო ექიმო,—გააწყვეტინა ლაპარაკი კატერინამ, სიმონის ქვრივმა,—სიმონი, რასაკვირველია, კარგი კაცი იყო, ჩვენ ბედნიერი ცხოვრება გვქონდა, გარწმუნებთ, არც დავივიწყებ არასოდეს სიმონს, მაგრამ გეხვეწებით, ნუ გააცოცხლებთ! ამ ერთის თვის შემდეგ სამგლოვიარო ტანისამოსი უნდა გავიძრო და აულაყუდა პასკალს მივსთხოვდე: ღმერთმა ხომ იცის, რომ ჩემი დედ-მამაა ამას მოწადინებული. საჩუქრები მივიღე კიდეც და ერთის კვირის შემდეგ ნიშნობაცა გვაქვს.

— კარგია რომ წინდა წინვე შემატყობინეთ, კატერინა, ეგ ამბავი! მაშ სიმონს თავს გავანებებ და ნანონა კაროტის გავაცოცხ..

— ნუ, ბატონო ექიმო, ნუ გააცოცხლებთ!—შესძახა ჟაკ ლამელმა.—ნანონა ჩემი ცოლი იყო. მთელი ათი წელიწადი ისე ვცხოვრობდით, როგორც კატა და ძაღლი,—მთელმა კუკუნიანმა იცის ეს. დეე, ნანონა სადაც არის, ისევ იქ დარჩეს; გარწმუნებთ, ჩემთვისაც და იმისთვისაც უკეთესი იქმნება! უნდა მოგახსენოთ, ბატონო ექიმო, რომ ნანონა, ნამდვილი გველეშაპი იყო: კაპასი, ანჩხლი, დაუნდობელი. ცხრა უღელა ხარიც ვერ შეიკავებდა... იმის ენას ჭახრაკებით ვერ დაიმაგრებდით, მუდამ ჩხუბისა და კინკლაობის გუნებაზედ იყო... აბა სად ჩამოვთვალო ყველაფერი...

— მაშ, მეგობრებო...

— უკაცრაოდ, ბატონო ექიმო, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ ხომ მოგეხსენებაც დედა-კაცი რა არის?.. თითონ საიქიოს გაემგზავრა და მეკი სამი ბავშვი დამიტოვა აქ. ვეღარაფერი მოუხერხე ამ ბავშვებსა და მეორე ცოლი შევირთე, თუმცა ეს პირველზედ უარესი აღმოჩნდა... აბა ეხლა თქვენ თითონ გასაჯეთ, რა წყალში ჩავარდები...

— მართალს ამბობ, მართალს!. სწორედ დიდი სასჯელი იქმნება ერთის მაგიერ ორი ცოლი გვყავნდეს! ერთიც საკმარისია, საკმარისი-კი არა ხანდახან მეტიც არის, ძალიან მეტი. მაშ სხვას ვისმეს გავაცოცხლებ, აი თუნდა ჩვენს კარგს პიერს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრისათვის; ხოლო რაც შეეხება ხელის მოწერით ფულის შეგროვებას, ეს თითონვე იმ საზოგადოებას დაევალოს, რომელიც თეატრის აშენებას ჰკისრულობს.

ამ საგანმა ცხარე ბაასი გამოიწვია საბჭოში. ზოგი ამტკიცებდა, რომ დამოჟნასთან რომ აშენდეს სახალხო თეატრი, შორს იქნება მუშა ხალხის მომეტებულ ნაწილისათვის და ამიტომ შუა ქალაქში უნდა მიეცეს ადგილიო; ზოგი ამტკიცებდა,— ქალაქმა სამუდამოდ უნდა დაუთმოს თეატრს ადგილი და არა ათხოვოსო; ზოგი ამბობდა, რომ თეატრისათვის 1,000 საჟენ მიწას თხოულობენ და ქალაქი-კი 500 საჟენს აძლევსო; მართლა თუ 1000 საჟენია საჭირო, 500 საჟენი გინდ მიგვიცია და გინდა არაო; ზოგნი ამბობდნენ, რომ 500 საჟენი მიწა ქალაქს ოცი ათას მანეთამდე უღირს და რადგან ამოდენა ხარჯს იღებს, ცოტა კიდევ წაუმატოს და თითონვე ააშენოს სახალხო თეატრი, რაღა სხვებს უგდებს ხელში ამოდენა მამულსო და სხ. დიდის ხნის ბჭობის შემდეგ, საბჭომ, ხმოსან არ. ს. ბაბოვის წინადადებით, აირჩია კომისია, რომელმაც დაწვრილებით უნდა გამოარკვიოს: რომელ ადგილას უნდა აშენდეს თეატრი, რამდენი მიწა იქნება საჭირო, რამდენი დაჯდება ამ თეატრის აშენება, რა საშუალებით უნდა აშენდეს თეატრი, ქალაქის საკუთრებად უნდა დარჩეს იგი თეატრი, თუ საზოგადოებისა და სხვა. თავისს მოსაზრებას კომისია საბჭოს წარმოუდგენს და ეს უკანასკნელი ამ მოხსენებით იხელმძღვანელებს.

კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: არ. ს. ბაბოვი, ა. ი. მიტკევიჩი, თავ. გ. მ. თუმანოვი, ა. ა. იოანესიანი, ა. ბ. ევანგულოვი, ნ. ა. ხუდადოვი, ი. ა. შაღინოვი, თავ. ა. ი. ბებუთოვი, ა. ა. ქალანთარი და ი. ა. თაიროვი.

◆

წლიური კრება კახელ მევენახეთა საზოგადოებისა.

კრება დაიწყო დილის 11 საათზედ, 28 ნოემბერს, თელავის კლუბის დარბაზში. კრებას დაესწრო 34 ამხანაგი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თ. ვლ. მაყაშვილი, მდივნად თ. ალ. რ. ვახვახიშვილი. პირველად კრებამ მოისმინა საზოგადოების ანგარიში 1897 წლის 1 აგვისტოდგან 1898 წლის 1 აგვისტომდის. ამ დროს განმავლობაში ამხანაგობას გაუყიდნია 90,983 მან. 25 კ. ღვინო; მოგება ჰქონია 9473 მან. 86 კაპ., რომლიდგანაც გადუდვია 7889 მან. 37 კ. ულიატოვის ვექსილების გასაუქმებლად და დანარჩენი 1584 მან. 49 კ. წმინდა მოგებას შეადგენს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ნავაჭრი ფული საანგარიშო წელიწადს ყოფილა 115,755 მან. 16 კაპ. და რომ საამხანაგო თანხა ყოფილა 15,728 მან. 50 კაპ., გამოვა, რომ მოგება, ულიატოვის თამასუქებს რომ არ გაეუქმებინა, შეადგენდა ნავაჭრ ფულზედ 8% მეტს და საამხანაგო თანხაზედ 60% მეტს; ხოლო წმინდა მოგებად აღებული 1584 მან. 49 კაპ. შეადგენს ნავაჭრის ფულის 1% მეტს და საამხანაგო თანხისას 10% მეტს.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, ზედამხედველ კომიტეტის წევრმა თ. ნიკოლოზ ზაალის ძე ჩოლოყაშვილმა მოითხოვა მოეხსენებოდა კრებას ზედამხედველ კომიტეტის დადგენილებანი და აგრეთვე გამგეობის წევრთა და ზედამხედველ კომიტეტის წევრთა შეერთებული კრების დადგენილებანი. ამ დადგენილებათა მოხსენებამ გამოიწვია კამათი ერთის მხრივ გამგეობის თავმჯდომარის ს. რ. ვახვახიშვილისა და მეორეს მხრივ თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილის და ზოგიერთ წევრთა შორის.

თ. ს. რ. ვახვახიშვილი. მე აქ წაკითხულს დადგენილებათა არ ვეთანხმები: პირველად იმიტომ, რომ თვით დადგენილებანი უკანონოა. წესდების 64 მუხლის ძალით (კითხულობს წესდების მუხლს) შეერთებული კრება კანონიერია, როცა დაესწრება გამგეობის 3 წევრი და 2 მაინც ზედამხედველის კომიტეტისა. ამის გარდა წესდება თხოულობს, რომ გამგეობა ხმის უმეტესობით სწყვეტდეს ამა თუ იმ საგანს; ეს დადგენილებანი-კი თხოულობს, გამგეობა ერთხმად სწყვეტდეს საგას. მე, როგორც თავმჯდომარე გამგეობისა, არ ავასრულებდი არაფერს, მაგრამ მივიღე რა მხედველობაში, რომ კომიტეტის წევრნი უფრო გამოცდილნი არიან, ვიდრე მე, ახლად საქმეში ჩამდგარი, ზოგი რამ აღსრულებაში მოვიყვანე.

მეორე დადგენილება გვავალებდა 4000 მან. დაურიგეთ ამხანაგებს უმეტ-ნაკლებოდაო. წესდება და ამასთან საზოგადო კრების დადგენილება-კი ნებას გვაძლევს წევრებს მეტ-ნაკლებად მივცეთ ამხანაგობის კასსიდგან ფული. თავიდამვე გვიკიჟინებენ, გასავალი დიდია თქვენის დაუდევრობის გამოო. გასავალის სიდიდ-პატარავე აქ საქმის სიდიდ-პატარავისა და ვითარებისაგან არის დამოკიდებული.

რომ გვეუბნებიან ულიატოვსკის გამოართვით 6000 მან. და ამხანაგებს დაურიგეთ, რომ არ ართმევთ, ეგ დაუდევრობა არისო,—მართალი არ არის. ულიატოვსკის ეგ 6000 მან. ხელში არა აქვს, თორემ უთქმელადაც გამოვართმევდით. იმასაც სხვაზედ გაუცია ჩვენგან მიცემული საქონელი. კიდევ გვეუბნებიან: ერთს კაცს 2000 მან. ჰმართებს ვექსილით, რომელსაც ვადა გასული აქვს. რატომ საჩივარს არ დაუწყებთო. ჩვენ ამ საგნის შესახებ სხვა აზრისანი ვართ.

თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. თითქმის ყველამ იცის, რომ პატივსა ვცემ თ. ვახვახიშვილს. ეს თვით თ. ვახვახიშვილმაც იცის. მაგრამ არ შემიძლიან არ შევნიშნო, რომ იგი თვით ეწინააღმდეგება თავისსავე ნათქვამს. წელან გვიმტკიცებდა, დადგენილება უკანონოაო, ჩვენი დაუდევრობა არსაიდგან სჩანს, არაფრით მტკიცდებაო და თვითვე აღვიარებს 6000 მან. იმიტომ არ ვართმევთ, რომ მომცემს ხელში არა აქვსო; ან კიდევ 2,000 მანეთის თამასუქით საჩივრის დაწყების შესახებ „ჩვენ სხვა აზრისანი ვართო. განა დადგენილებაში მოხსენებული საბუთი ბოთლების დაკლების შესახებ, რომელთა რიცხვი 10 ათასიდგან 12 ათასამდეა, როგორც ფასი ამტკიცებს, საბუთია და ეს ამბავი დაუდევრობით არ არის მომხდარი? თუ ზემორე აღნიშნული საბუთები საკმაოდ არ ამტკიცებს გამგეობის წევრთა დაუდევრობას, მე ეს საბუთიც საკმარისად მიმაჩნია მის დასამტკიცებლად. დღეს თქვენს წინაშე წარმოდგენილია გასარჩევად მოხსენება, რომელიც წესდების ძალით ჯერ სარევიზიო კომიტეტს უნდა განეხილა, თვისი მსჯავრი დაედო, მაგრამ კომიტეტს თვალითაც არ უნახავს იგი. წესდების ძალით თქვენ ამ მოხსენების გარჩევის ნება არა გაქვთ, ვიდრე კომიტეტი არ განიხილავს და არ დასდებს თვის მსჯავრსა. ნეტავი აგრე იყოს, რომ მე ყველაფერში ვცდებოდე და საამხანაგო საქმე კარგად და ძალიან კარგადაც, შეუცდომლად სწარმოებდეს. ეს ჩემთვის სასიხარულოც იქნება.

თ. მ. რუსიევი. აი, ერთი ნიმუშიც დაუდევრობისა: ჩემი ღვინო დაათვალა კომისიამ იაფად; ერთი ქვევრიც უკან დააგდო. მე ამის შესახებ მივწერე წერილი თ. ს. რ. ვახვახიშვილს, მაგრამ პასუხი არ მაღირსა, მივწერე მეორეთ, მაგრამ არც მაშინ მიპასუხა. მეგონა—წერილები იკარგება-მეთქი და მესამე დაზღვეული წერილი გავუგზავნე, მაგრამ არც ამაზედ მიპასუხა. ეს დაუდევრობა თუ არ არის, მაშ რა არის?

თ. სიმ. რ. ვახვახიშვილი. წესდების ძალით, ამხანაგი, რომელიც გამგეობის ნება-დაურთველად გაჰყიდის ღვინოს, წევრობიდგან გამორიცხულად ითვლება და რადგანაც მე წევრად აღარა ვთვლიდი... (თავმჯდომარე აწყვეტინებს).

თავმჯდომარე. მე ვსპობ გამგეობის მოქმედების შესახებ კამათს, ეს საგანი საკმაოდ განმარტებულია. ახლა გთხოვთ, ანგარიშის შესახებ გამოსთქვათ თქვენ-თქვენი აზრი.

თ. გაჩნაძე. ანგარიში მთელს წიგნს წარმოადგენს. ასეთი დიდი ანგარიში დღეს დაგვირიგეს, და ან გასინჯვა არ უნდა, ან მოფიქრება? წესდების ძალით ორის კვირით ადრე უნდა დაერიგებინათ ანგარიში.

თ. სიმ. რ. ვახვახიშვილი. წესდება გვავალებს, რომ გამოვაცხადოთ და დავარიგოთ, როცა მოითხოვენ. გამოცხადებული არის თავისს დროზედ გაზეთში და მთხოვნელი-კი არ გვინახავს, რომ დაგვერიგებინა ანგარიში.

თ. გაჩნაძე. ჩვენ, კახელები, ყველანი არა ვღებულობთ და არა ვკითხულობთ გაზეთებსა, ამიტომ საჭიროა ანგარიში ორის კვირით ადრე ეგზავნებოდეთ წევრებს.

თავმჯდომარე. ვინც თანახმაა, რომ ანგარიში მარტო გაზეთში-კი არ იბეჭდებოდეს, არამედ უეჭველად ეგზავნებოდეს წევრებს, ვთხოვთ ფეხზედ ადგეთ.

ადგა მარტო 16 წევრი.

თავმჯდომარე. გთხოვთ: 1) თუ ვინმემ შეჰნიშნეთ შეცდომა ანგარიშში, დაასახელოთ, 2) დავამტკიცოთ ანგარიში თუ არა!

თ. იორამ ჯორჯაძე. აქ მოხსენებულია, რომ ბაქოში—15 ათასი მან. ღვინო გაუგზავნიათ და 4000 მან. მეტი დასჯდომიათ, მე შეუფერებლად მიმაჩნია.

თ. ვახვახიშვილმა განუმარტა კრებას, რომ ეგ ხარჯი ბაქოში ღვინის გაგზავნაზედ მოგვივიდა და ბაქოსავე განყოფილების სხვა ხარჯს შეადგენსო, მაგრამ წევრებმა მოითხოვეს ხარჯის დაწვრილებით ანუ სხვა. გამგეობის წევრებს ხელთ არა ჰქონდათ დაწვრილებითი ანგარიში განყოფილებისა.

— პიერ მა-ვიეს?—წამოიყრანტალა ფელიქს ბონნ-პუანმა და თან თვალები დააჭყიტა.

— დიაღ, იმას.

— საწყალი მამაჩემი! ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! ბატონო ექიმო... წმინდა კაცი იყო მამაჩემი, ეს მთელმა სოფელმა იცის! მაგრამ ხელს ნუ ახლებთ, ძნელი იქმნება ეხლა იმისათვის ფეხზედ წამოდგომა!.. იმის სიკვდილის შემდეგ ჩვენ გავიყარენით, მაგრამ ჯერ კარგად ვიჩხუბეთ, ერთმანეთი დავჭამეთ, სასამართლოებში საჩივარი დავიწყეთ, იმდენი დღეგრძელობა ნუ მოგაკლოს ღმერთმა, რამდენიც ჩვენ ერთმანეთს ბუწუწები დავაგლიჯეთ! ოთხი ძმა და ორი და ვართ. ყველას შვილები გვყავს... თავის თავის შენახვა გვიძნელდება... ვისა აქვს ეხლა მეტი ფული...

— მითხარით მაშ...

— მაპატიეთ, ბატონო ექიმო, მაგრამ თუ მამა ჩემი გააცოცხლეთ, საცხოვრებელი უნდა გაუჩინოთ და ეს კი ადვილი არ არის. მოგეხსენებათ, რა ცუდი წელიწადები დაიჭირა ამ ბოლო დროს. საწყალი უწინდელი სავსე ოჯახი!.. ყველაფერი გამოიცვალა: მიწა გაცვდა, ჰაერი წახდა, პური აღარაფერს იძლევა, ვაზს ათასი ჭირი და სენი გაუჩნდა, აბრეშუმს ფასი აღარა აქვს.. რაღა განვაგრძო, ცუდადად, ცუდათაა საქმე.

— დეე, კარგი, ეძინოს შენს პიერს. ხალხნო, თქვენ თვითონ მითხარით, ვინ გავაცოცხლო?

— გოტო! ჩემი გოტო გააცოცხლეთ!—წამოიძახა ერთმა დედა-კაცმა და თან ნამტირალევი თვალები ექიმს მიაპყრა.

— არა არა, ბატონო, ექიმო! ნუ გააცოცხლებთ გოტოს, ნუ!—საჩქაროთ მიჰმართა ექიმს ერთმა ახალგაზდა ქალმა.—საწყალი გოტო, რა მშვენიერი რამ იყო, როდესაც წუთი სოფელს ესალმებოდა... სიკვდილის წინად ყველაფერი მიამბო.. თეთრი ტანისამოსი ჩავაცვით და ყვავილებით მოვრთეთ... დეე, ეძინოს საფლავში, ეხლა ვეღარაფერს მოესწრობა: ვინც უყვარდა, იმან უკვე სხვა შეითრო ცოლად.

— საწყალი, საწყალი გოტო!.. მაშ, მეგობრებო, გრენგალეს გავაცოცხლებ! ხომ გახსოვთ გრენგალე, ამას წინად ყელზედ ძვალი რომ დაადგა და გარდაიცვალა?

— არ შეიძლება, არა!..—დაიღრიალა ლუიზე კოკელიკომ და თან ორივე ხელები მაღლა აიშვირა.—გრენგალემ ვენახი და ერთი პატარა ქოხი მომყიდა იმ პირობით-კი, რომ ვიდრე ცოცხალი იქმნებოდა გადაწყვეტილი ფული მეძლევინა. მთელი ათი წელიწადი ვაძლიე ფული. ეხლა რომ გააცოცხლოთ ხელ-ახლა უნდა ვაძლიო!.. არა ეგ უკანონობა იქმნება, ბატონო ექიმო!..

— კარგი, შენი ნება იყოს... ჰო, ძლივს, არ მოვიგონე?! ისეთს კაცს გავაცოცხლებ, რომელსაც არც ცოლი ჰყვანდა, არც შვილები, არც ძმები და არც დები, რომელიც ყველას საყვარელი და სათაყვანებელი იყო. მთელი თავისს ქონება იმ კაცმა თქვენს საავადმყოფოს შესწირა. ხომ მიჰხვდით ვისზედაც ვამბობ? თქვენ მოხუცებულს მღვდელზედ, რომლის განშორებასაც აგრე სწუხდით და დარდობდით. რას იტყვით, ეს წმინდა კაცი რომ გავაცოცხლო?

— არა ბატონო ექიმო, არა!—შეღრიალმა ერთად მთელმა სოფელმა. ყველაზედ მეტს-კი ისინი ჰყვიროდნენ, ვინც უფრო ხშირად ეკკლესიაში დადიოდნენ და ღვთის მოსავობას ჩემობდნენ.

— ცხონებული, მეტად ბებერი და გამოყრუებული რამ იყო—.დაიწყო მიზე რუსელინმა, მთელს სოფელში ყველაზედ უფრო მოხუცებულმა და დაჩაჩანაკებულმა დედაკაცმა,—აღსარების დროს არც-კი ესმოდა რას ვეუბნებოდით და რას არა! ისა სჯობია, ბატონო ექიმო, თავისთვის მშვიდობიანად ეძინოს!. ჩვენ ეხლა სხვა მღვდელი გვყავს—ახალგაზრდა და ძრიელ გულ-კეთილი. გალობა და ქადაგება მშვენიერი იცის, მრევლიც მადლიერია იმისი.

— ვერც მაგის წინააღმდეგ ვიტყვი რასმეს... მაგრამ, აგერ აქედგან პატარა ხის ჯვარსა ვხედავ. იგი უკვე გაშავებულა და გაცრეცილა. იმ ჯვარს ქვეშ დაკრძალულია გვამი ათის თვის ყრმისა. ცოდვა-კია იმის ხელ ახლა გაცოცხლება—ისე მშვიდად განისვენებს იქ. იგი იმდენად ბედნიერია, რომ ვერა ჰხედავს ათას უბედურებას და ვერ ისმენს ყველა მას, რაც ჩვენ მუდამ დღე სიცოცხლეს გვიმწარებს. მაგრამ თუ გსურთ, მე იმის გაცოცხლებაც შემიძლიან.

— ბატონო ექიმო,—მიუგო ტირილით მოხუცმა დედაკაცმა,—ეს ჩვენი პატარა ბავშვია; მე ბებია ვარ იმისი. ჯერ ძუძუსა სწოვდა, როდესაც ანგელოზებმა მოგვტაცეს. ჰო, ბატონო ექიმო, რომ გენახათ რა მშვენიერი და კარგი რამ იყო! მაგრამ, დაილოცოს ღვთის სამართალი, ჩვენ მოგვაშორა და თავისთან წაიყვანა! ეხლა ჩვენ სხვა ბავშვი გვყავს. ზეციერმა მამამ კარგად იცის რასაც სჩადის: ერთი ხელით წაგვართვა, მეორეთი გვიბოძა: ორი ბავშვის შენახვა ძალიან გაგვიჭირდება. მეტად ღარიბნი და უმწეონი ვართ...

— აბა, მეგობრებო, მე მგონია, დღეისთვის ესეც საკმაოა!—სთქვა ექიმმა.—თქვენ თითონ არ გინდათ დღეს სასწაული მოვიქმედო, მაშ ამ საქმეს სხვა დროსთვის გადავსდებ. მაგრამ მკვდარს-კი არ გავაცოცხლებ—კარგად ვხედავ, რომ თქვენ ეს არ გესიამოვნებათ,—არამედ ცოცხალს უშველი და ავადმყოფობის დროს სიკვდილს პირიდგან გამოვგლეჯავ. ნახვამდის!

დაასრულა ექიმმა და გაუდგა გზას.

ვინ იტყვის, რომ ექიმს ამ დღიდგან სასწაული არ მოუხდენია კუკუნიანშიო? მართალია, მკვდარი არ გაუცოცხლებია, მაგრამ ბევრი ავადმყოფი-კი გადაურჩენია სიკვდილისაგან. ეხლა ნდობით ექცევიან კუკუნიანელები ექიმს და ამბობენ:

— თუ იმ დღეს სასაფლაოზედ დანაპირი არ აასრულა, ეს ხომ იმის ბრალი არ იყო! სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ შეუშალეთ ხელი და ნება არ მივეცით მკვდარი გაეცოცხლებინა.

ი. ა—ძე

◆

თ. იორამ ჯორჯაძე. მაინც შეუფერებელია ეს ორი რიცხვი.

ზ. მ. კერმიშევი. (გამგე ბაქოს განყოფილებისა). ხარჯის რაოდენობა დამოკიდებულია იმისაგან, თუ ვაჭრობა რამდენად არის გაჩაღებული. რამდენადაც დიდი ვაჭრობაა, იმდენად ხარჯი თვითოეულს ვედრაზედ ნაკლებია. ბაქოს განყოფილება ჯერ ახალია. მისი ვაჭრობა მალე გაიზრდება და მაშინ ხარჯი ესე შეუფერებლად აღარ გეჩვენებათ.

თ. იორ. ჯორჯაძე. კიდევ მინდა ვიკითხო, სასარგებლოა იქონიოს ამხანაგობამ განყოფილებანი მაშინ, როდესაც ოდესაშიაც გვეკარგება 7,000 მან. ღვინისა?

თ. სიმ. ჯახჯახიშვილი. სად იყო მაშინ გამგეობა, როცა ეგ 7000 მ. ღვინო გაიცა? მართალია ეს 7000 მან. თამასუქებად გადმოგვეცა და ჯერაც ისევ თამასუქებად არის, მაგრამ დროს უცდით, იქნება ისე არ მოხდეს, როგორც ჰგონიათ.

თავმჯდ. როგორ მოხდა, რომ გამგეობა არ ერია მაგ საქმეში?

თ. სიმ. ჯახჯახიშვილი. გამგეობა დაარსდა 1897 წ. და ეგ ღვინო-კი 1896 წ. გაიცა.

თ. იორ. ჯორჯაძე. რაკი გამგეობას გარდაეცა ეგ 6000 მ. ვექსილები, უნდა აქამდე ღონისძიება რამ ეხმარა!

თ. ნ. ზ. ხოლოყაშვილი. არა არის რა და საიდამ აიღოს. აკი იყო გაგზავნილი კაცი და ცალიერი დაბრუნდა.

თავმჯდ. კიდევ ვის რა გაქვთ სათქმელი ანგარიშის შესახებ?

თ. ვაჩნაძე. აქ ნათქვამია:—„ბოჭკების ფასიდგან დაკლებულია 15°/o“. არ შეიძლება, აგვიხსნან ცხადად?

თ. სიმ. ჯახჯახიშვილი. რაც ბოჭკაზედ მეტი ფასი ითვლება, უფრო ნამდვილ ფასს დაშორებულია. ამხანაგობის სარგებლობა თხოულობს, რომ მისი ავეჯი, რაც შეიძლება, ნაკლებ ფასად იყოს ნაანგარიშევი. ასე შედგენილი ანგარიში ნათლად დაგვანახვებს ამხანაგობის საქმის სიმკვიდრეს.

ნადიკვრელი

„შუამავლის“ ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრება.

კრება მოხდა 6 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში და იგი გაგრძელება იყო წინა კრებისა. ამ დღეს დაესწრო კრებას სულ 32 წევრი. კრებამ მოისმინა ორივე, წინა კრების მიერ ამორჩეულ კომისიის მოხსენება და იმ კომისიის რჩევის თანახმად, რომელსაც თანხის გასაძლიერებელ საშუალებათა გამოსაძებნად იყო ამორჩეული, დაადგინა ამორჩეულ იქმნას 20 კაცისაგან სამზრუნველო კომისია, რომელსაც დაევალოს ახალწევრთა მოზიდვა, თანხის გაძლიერება, ნდობის მოპოვება ამხანაგობისათვის, ამხანაგობის საქმეთა მეთვალყურეობა, რევიზია და სხ. ამ კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ა. დ. მაჩაბელი, გ. ლორთქიფანიძე, გ. ჭაჭანიძე, ა. ახნაზაროვი, ი. კოლელიშვილი, დ. ეპიტაშვილი, დ. ჯმუხაძე, ი. მანსვეტაშვილი, ს. წერეთელი, ი. ლომინაძე, გ. ხირტლაძე, გ. რატიანი, ა. გუნდიევი, დ. კარიჭაშვილი, ი. ხარაევი, ე. ხელაძე, გ. სესიევი, მ. ტარასოვი, ს. ტარიელაშვილი და ს. კურდღელაშვილი. კრებამ ამავე სამზრუნველო კომისიას გარდასცა საინსტრუქციო კომისიის მიერ შედგენილი წეს-რიგი, რომლითაც უნდა წარმოებულ იქმნას „შუამავლის“ საქმენი, განსახილველადა და, თუ სამზრუნველო კომისიამ საჭიროდ დაინახა, შემოსაღებადაც.

შემდეგ კრება შეუდგა ფირმის წარმომადგენლისა და გამგეობის თავმჯდომარის არჩევანს. ვ. ალნიაშვილმა კვლავ უარი განაცხადა, ვერ ვიკისრებ ამ ორ-კეცის თანამდებობის ასრულებასაო. საერთო თხოვნის შემდეგ ვ. ალნიაშვილმა იკისრა გამგეობის თავმჯდომარეობასთან ერთად ფირმის წარმომადგენლობაც. დასასრულ კონტროლის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა დ. ეპიტაშვილი, ხოლო იმის კანდიდატად ს. ტარიელაშვილი.

ტფილისის სასულიერო სემინარიასთან წმ. ანდრია მოციქულის სახელობაზედ არსებულის ძმობის შესახებ.

თექვსმეტი წელიწადია, რაც დაარსებულ იქმნა ტფილისის სასულიერო სემინარიასთან ძმობა წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზედ... ამ ძმობას აზრად აქვს აღმოუჩინოს შემწეობა სემინარიის ღარიბს მოსწავლეებს, რომელთა რიცხვი საკმაო ყოფილა და არის დღესაც ამ სემინარიაში. ზოგმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება სემინარიაში ამ ძმობის დახმარებით და დღეს-კი მიივიწყა ეს ძმობა და ორიოდ გროშს არა სწირავს იმისს სასარგებლოდ... უკანასკნელს დროს ძმობას სრულიად გამოელია არსებობის სახსარი; მას აღარ შეუძლია მისცეს შემწეობა ღარიბს მოსწავლეებს სემინარიისას. სემინარიის ზოგს მოსწავლეს აჭირვება შემწეობა, დახმარება, ურომლისოდ მათ არ შეუძლიათ განაგრძონ სწავლა. დღეს სემინარიის მოსწავლეებზედ არის გადასახადი სამი ათასს მანეთზედ მეტი... სემინარიის მმართველობამ თვით შეავსო ის ფული, რომელიც მოსწავლეებს არ შემოუტანიათ სემინარიის პანსიონში შესანახ ხარჯად. წმ. ანდრია პირველ წოდებულის ძმობას რომ რამე სახსარი მოეპოვებოდეს, რასაკვირველია, აღმოუჩენდა შემწეობას მოსწავლეებს და მათ მაგივრად შეიტანდა სემინარიის მმართველობაში იმ ფულს, რომელიც მოსწავლეებზედ ვალად არის დარჩენილი...

ასე სანატრელს მდგომარეობას ძმობისას ყურადღება მიაქცია საქართველოს ეგზარხოსმა ფლავიანემ და მის სასარგებლოდ შესწირა 100 მან; ამავე ძმობის სასარგებლოდ შესწირეს—ბერძენთ არხიმანდრიტმა კირილემ—50 მან; ვ. დ. გედიკოვმა 50 მან; დეკან. ვ. კონჭოშვილმა—5 მან; ე. ი. ხელაძემ—3 მან... ამით გამხნევებული თავმჯდომარე ძმობისა, სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი ჰერმოგენი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ფლავიანეს ბრძანებით დღეს, 9 ქრისტეშობისთვეს, იწვევს თავისს ბინაზედ სასულიერო სემინარიის სადგომში ძმობის წევრებს და ყველა იმათ, რომელნიც თანაუგრძნობენ სემინარიის ღარიბ მოწაფეთა შემწეობა-დახმარების საქმეს. კრება მოხდება დღეს, საღამოს ექვსის საათზედ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლავიანეს თანადასწრებით, ძმობის საბჭოს იმედი აქვს, რომ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლავიანეს მიერ დაწყებული საქმე თანაგრძნობას მოიპოვებს ქართლ-კახეთის ეპარქიის სასულიერო წოდებისა და მთელის ქართლ-კახეთის სამწყსოისას. ამის გამო უმდაბლესად სთხოვს საბჭო როგორც ძმობის წევრებს, აგრეთვე მთელი ქართლ-კახეთის სასულიერო წოდებას და ყველა მართლ-მადიდებელს ქართლ-კახეთის ეპარქიისას და საქართველოს საეგზარხოსოსას ნუ დაიშურებენ თავისს წვლილს შესაწევრად ტფილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებისთვის. შეწირულებანი შეიძლება გამოგზავნილ იქმნენ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლავიანეს სახელზედ და ან პირდაპირ ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ვინც დაახლოვებით იცნობს სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა უმრავლესობის უკიდურესს სიღარიბეს, ის არ შეიძლება არ დაეხმაროს ,,ძმობას“ შეძლების და გვარად. რამდენს ღარიბს მოსწავლეს სემინარიისას ამ შემწეობის მეოხებით შეუშრება თვალზედ ცრემლი, რამდენი შეასრულებს სემინარიის კურსს, რამდენი შეავედრებს ღმერთს კეთილის მყოფელთა დღეგრძელობას?!... ნუ დავივიწყებთ, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიაში ორასზე მეტი ქართველი მოსწავლეა და ამისთვის უპირველეს ყოვლისა ქართველმა საზოგადოებამ უნდა გამოიღოს წვლილი იმათ შესაწევრად... გვწამს, რომ ქართველთ შორის ბევრია ისეთი, რომელიც სასულიერო განათლებას თანაუგრძნობს და სწორედ ამათგან მოველით დახმარება-შემწეობას წმ. ანდრია პირველწოდებულის ძმობის სასარგებლოდ.

ილ. ფერაძე

უცხოეთი

—

იტალია. როგორც ვიცით, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც, იტალიის მთავრობის წინადადებით, ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა რომში თავი მოიყარეს ანარქისტების წინააღმდეგ ღონისძიებათა გამოსაძებნელად. გაზ. „Memorial Diplomatique“-ს სიტყვით, კონფერენციამ ვერაფერი ვერ გააკეთა და დღეს ან ხვალ უნდა დაიშალოს. გაზეთი ამბობს, რომ არც ერთი საგანი, ანარქიზმის მოსპობის შესახებ, არ გადაწყვეტილა, და ამის გამო არავითარი ოქმი არ იქნება დაწერილი და ხელმოწერილი კონფერენციის წევრების მიერ. კონფერენცია ჩქარა შეწყვეტს თავისს მუშაობას და დაიშლება; როდის განაახლებს იგა სხდომებს, გადაწყვეტილი არ არის და არც არავინ იცის.

—

ინგლისი. ჩქარა შეიკრიბება ინგლისში პარლამენტი, რასაც ბევრნი მოუთმენლად მოელიან. ახალშენთა მინისტრმა ჩემბერლენმა გამოაქვეყნა ზოგიერთი საგანი, რომელნიც მთავრობის მიერ წარედგინება პარლამენტს განსახილველად. ზოგი ამ საგანთაგანი ფრიად საყურადღებოა და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. პარლამენტმა თუ მოიწონა და დაამტკიცა, მთავრობას სურს, 1) სახელმწიფო დაეხმაროს მუშებს, მესაკუთრენი გახდნენ იმ სადგომებისა, რომლებშიაც თითონვე სცხოვრობენ; 2) მთავრობა მომეტებულად დაეხმაროს ხალხს სწავლა-განათლების საქმეში 3) სხვა და სხვა ღონისძიება იქმნას შემოღებული მუშების დასაცველად, რომელნიც ჯანმრთელობისთვის მავნე სამუშაოს ადგიან; 4) ლონდონის ქალაქის მართველობას მეტი უფლებანი მიეცეს; 5) ირლანდიის თვითმართველობა გაფართოვდეს.

—

ესპანია. ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის, მაკ-კინლეის განცხადების გამო, რომ ამერიკის გემი ,,მენი‘‘ ესპანელებმა ააფეთქესო, ესპანიის მთავრობას მიუწერია თავისს წარმომადგენლის, მონტერო რიოსისთვის პარიჟში,—წინადადება მიეცა ამერიკის მთავრობას მედიატორები იქმნან არჩეულნი და იმათ განიხილონ—ვინ მტყუანია და ვინ მართალი ჩვენ შორისო. ამ მოწერილობის თანხმად, მონტერო რიოს წინადადება მიეცა შეერთებულის შტატებისათვის—თქვენ თქვენის მხრივ სამი ტეხნიკი აირჩიეთ, ამერიკელი, ფრანგი და ინგლისელი, ჩვენც სამს ტეხნიკს ავირჩევთ,—ესპანელს, ინგლისელს და ფრანგს; ამ ტეხნიკებმა თავისის მხრივ თავჯდომარედ აირჩიონ გერმანელი ტეხნიკიო. ეს შვიდი კაცი კუბაში წავლენ და იქ ადგილობრივ დაწვრილებით გამოარკვევენ, ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი, ე. ი. მართალია ესპანელებმა ააფეთქეს გემი „მენი“, თუ უცაბედად მოხდა ეს სამწუხარო შემთხვევა, და შეერთებული შტატები ტყუილად უბრალოდ ცილსა სწამებს ესპანიასაო. კომისია რა სასჯელსაც გადაუწყვეტს დამნაშავე მხარეს, ესპანია უთუოდ დაემორჩილება იმასაო.

ამერიკის დელეგატებს არ შეუწყნარებიათ ეს წინადადება იმ მიზეზით, რომ იგი ტყუილ უბრალოდ მღელვარებას გამოიწვევს ხალხში და სარგებლობას-კი ვერაფერს ვერ მოიტანსო.

დამაკვირდი

ვაი იმას, ვინც დამპალს ლერწამს დაეყრდნობა.

შილლერი

* * *

უმჯობეს არს ომი გამოცხადებული ღალატად ნაქმარსა.

მეფე სვიმონ I

* * *

დედაკაცისა მხედ არს ესე ვითარი ზნეულებისა რათმე წესთ დამცველობაჲ, რომელი მხოლოდ შეეტყვების მამათა.

ნიკოლოზ ტფილელი

დეპეშა

8 დეკემბერი

იალტა. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ინახულა ლივადიაში დაბანაკებული მსროლელთა და ვილენის რაზმები, რომელთაც ამ დღეს გარდაიხადეს დღესასწაული. ხელმწიფემ მიულოცა ჯარს და მიირთვა მათი სადღეგრძელო.

კონსტანტინეპოლი. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ხუთშაბათამდის დაჰყოფს აქ.

სოფია. რადოსლავოვის მომხრეთ ყრილობა მოახდინეს, რათა წინააღმდეგობა განეცხადებინათ აღმოსავლეთ რკინის გზების შესყიდვისა გამო. ყრილობამ დაადგინა, მოითხოვოს სამინისტროს გადადგომა, რადგანაც ეს შესყიდვა ბოლგარიას შიშს უქადისო. რადოსლავოვი თავისის მომხრეებით სასახლისაკენ გაემართა, რათა ყრილობის დადგენილება გარდაეცა მთავრისათვის. პოლიციას, რომელმაც გზა გადაუღობა, ქვების სროლა დაუწყეს და ერთი ჟანდარმი მძიმედ დასჭრეს. გაისმოდა ყვირილი: „შორს მთავრობა! გაუმარჯოს მთავარს!“ მანიფესტანტები გაჰფანტეს; 12 კაცი შეიპყრეს.

პარიჟი. დეპუტატთა პალატა. ანტისემიტი ლაზიესი შეეკითხა დრეიფუსის საქმის შესახებ, ამასთან მან ბრისონს ბრალი დასდო—კონსტიტუცია დაარღვიაო. შემდეგ ორატორმა გაჰკიცხა საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა, რომლის პრეზიდენტის ძმაც, გერმანიის მოხელე ლევი, სცდილობს დრეიფუსის გამართლებასაო. ამ სიტყვებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვიეს. დასასრულ ლაზიესმა განაცხადა, რომ დრეიფუსისა და პიკარის საქმე—მხოლოდ საბაბია, რომლის შემწეობითაც უნდათ ჯარი გაჰკიცხონო; ამიტომ ურჩია ფრეისინეს—ჯარი დაიცვეო. ფრეისინემ მიუგო, რომ საქმე საკასაციო სასამართლოს გარდაეცა განსახილველად. მაშასადამე, სამხედრო სამინისტრო ისე არ უნდა მოიქცეს, რომ ვინმემ,—სთქვას სამინისტრომ გარდაწყვეტილებაზედ გავლენა იქონიაო. მე ვაცნობებ საკასაციო სასამართლოს ყველა იმ საბუთის ქაღალდებს, რომელნიც ჩემ ხელთ არის, გარდა იმ საბუთის ქაღალდებისა, რომელთა გადაცემითაც შეიძლება სახელმწიფოს რაიმე შიში მოელოდეს. ასეთს საბუთის ქაღალდს არც ერთს არ გადავცემ. (ტაშის ცემაა). თუ პალატა არ დამეთანხმება, მე მზადა ვარ თანამდებობას თავი გავანებოო. მონფორმა ჰკითხა: საკასაციო სასამართლომ როგორ და რის შემწეობით დაადგა აზრს იმის შესახებ, საბუთის ქაღალდს ისეთი მნიშვნელობა აქვს თუ არა, რომ საქმის გარდაწყვეტა შეიძლოს? ფრეისინემ მიუგო, რომ აწინდელმა სამინისტრომ არ უწყის ის ოფიციალური საბუთის ქაღალდები, რომელნიც საკასაციო სასამართლოსა აქვს: ეს საბუთის ქაღალდები მე არასოდეს არ მინახავს, ჩემ ხელთ არის მხოლოდ ის, რასაც საიდუმლო dossier-ს ეძახიან. ამ dossier-ში ისეთი საბუთის ქაღალდებია, რომელთა გამოქვეყნებაც შეიძლება სახელმწიფოსთვის საშიში იყოს. ამ საბუთის ქაღალდებს, მხოლოდ მაშინ ვაცნობებ, როდესაც დარწმუნებული ვიქნები, რომ არ გამოაქვეყნებენო. (ტაშის ცემა). ლაზიესმა განაცხადა,—ასეთ პირობებში საქმის ხელ-ახლა განხილვა კომედიააო; შემდეგ მადლობა გადაუხადა მინისტრს ასე ნათლად განმარტებისათვის და დასძინა: „ეხლა დამტკიცებულია, რომ საიდუმლო dossier-ი არსებობს, ამიტომ ჩემ შეკითხვას უკანვე ვიბრუნებო“. (ტაშის ცემა).

სოფია. ბოლგარიის მრავალმა ქალაქმა, კორპორაციებმა და კერძო კაცებმა გაუგზავნეს ხელმწიფე იმპერატორს, დიდ მთავარს და რუსეთის ხალხს დეპეშები, რომელშიაც მადლობას აცხადებენ იმ ომისათვის, რომ წყალობითაც ბოლგარია განთავისუფლებულ იქმნა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 8 го Декабря 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე